სასიცოცხლო ციკლები

დაბალი დონე







საკითხავი წიგნები ენისა და საგნის (ბუნებისმცოდნეობის) ინტეგრირებულ სწავლებაში მხარდასაჭერად მომზადდა „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის“ პროექტის "საზოგადოების ინტეგრაცია მულტილინგვური განათლების გზით“ ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია ეუთოს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისრის ოფისის მიერ.

ავტორები:

თამარ ჯაყელი, შალვა ტაბატაძე, ნათია გორგაძე,
ნანა დალაქიშვილი, თინათინ ცერაძე, თამარ ანთაძე, ელენე ჯაჯანიძე

რედაქტორი

კახა გაბუნია

დიზაინერი

ილია ჭრელაშვილი

© „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი“ (CCIIR)

ISBN

თბილისი
2019 წელი

სასიცოცხლო ციკლები

დაბალი დონე

ეს მერცხლის **კვერცხებია.**

მერცხალი **ფრინველია.**

მერცხალი კვერცხებს ბუდეში დებს.

ეს ქორის **კვერცხებია.**

ქორიც **ფრინველია.**

ქორი კვერცხებს ბუდეში დებს.



ეს კალმახის **კვერცხებია.**

კალმახი თევზია.

კალმახი კვერცხებს წყალში დებს.

თევზის კვერცხებს **ქვირითი** ჰქვია.

ეს ბაყაყის **კვერცხებია.**

ბაყაყი **ამფიბიაა.**

ამფიბია **წყალხმელეთა** ცხოველია -

ის ცხოვრობს ხმელეთზეც და წყალშიც.

ბაყაყი კვერცხებს წყალში დებს.

ბაყაყის კვერცხებსაც **ქვირითი** ჰქვია.



ეს გომბეშოს **ქვირითია.**

გომბეშოც **ამფიბიაა** და კვერცხებს წყალში დებს.

ეს ნიანგის **კვერცხებია.**

ნიანგი **ქვეწარმავალია.**

ნიანგი კვერცხებს დებს ქვიშაში.

ეს ზღვის კუს **კვერცხებია.**

ზღვის კუ **ქვეწარმავალია.**

ის კვერცხებს ქვიშაში დებს.



ძაღლი **ძუძუმწოვარია.**

მისი ნაშიერი მუცლად ყოფნის დროს ვითარდება და მერე ჩნდება **ლეკვი.**

ძაღლის ნაშიერს ლეკვი ჰქვია.



დათვი **ძუძუმწოვარია.**

მისი ნაშიერი მუცლად ყოფნის დროს ვითარდება და მერე ჩნდება ბელი. დათვის ნაშიერს **ბელი** ჰქვია.